საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

N 62
24.08.2026

62-03-4-202608241801

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 20 მაისის N5 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის 2020 წლის 12 თებერვლის N27 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს სამინისტროს იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მაია ტაკიძე.“.

2. სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველომ (ნ. ზაქარიაძე) უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ბრძანების გაცნობა შესაბამის პირებზე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, მისამართი ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9 და ბათუმის საქალაქო

სასამართლოში, მისამართი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30, ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დენის სალუქვაძე

მინისტრი